

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

Georgian Academy of Sciences

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

ლიტერატურული ძიებანი

Literary Researches

№26

თბილისი • 2005 წელი

#13

ივანე ამირხანაშვილი

აგიოგრაფიული თხზულების დრო და სივრცე

„აბოს წამების“ პირველ თავში იოანე საბანისძე სარკინოზებს მოიხსენიებს როგორც „მფლობელთა ამის ჟამისათა“, სარკინოზები არიანო დამპყრობლები, „ზედამდგომელნი“, „ამ დროის მფლობელნი“ ისინი ფლობენ ქართულ ყოფიერებას იმდენად, რამდენადაც ფლობენ დროს. სარკინოზების ხელშია დრო და სივრცე ახლა, ამ მომენტში, ამ ჟამს, რომელიც არის მათი.

„ჟამის მფლობელი“! აქ არსებითი ის კი არ არის, თუ რა არის ნათქვამი იმის შესახებ, რაც არ ვიცით, არამედ როგორ არის ნათქვამი ის, რაც ვიცით. ეს არის დროისა და სივრცის შინაგანი ერთიანობის ფორმულა, რომელიც უბრალოდ გვიხსნის ჭეშმარიტების არსს. ეს არ არის ხატოვანი გამონათქვამი, ეს არის ფენომენოლოგიური თვალსაჩინოება, რომელიც უამრავ შეკითხვას ბადებს, ისევე, როგორც ბადებს შეკითხვებს ნიკოლოზ ბარათაშვილის სიტყვები ლექსიდან „ნაპოლეონი“: „ჟამი ჩემია და ჟამისა მე ვარ იმედი!“¹ ან XX საუკუნის ფრანგი პოეტის ნ.არნოს ფრაზა: „მე ვარ ის სივრცე, სადაც ვარ“² ჩემი აზრით, აქ საქმე გვაქვს ისეთ შემთხვევასთან, როცა კითხვები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე პასუხები. სხვათა შორის, ამ პრინციპით უდგება საკითხს თომას მანი, როცა იგი „ჯადოსნური მთის“ მეორე ნაწილის შესავალში აანალიზებს დრო-სივრცის ფენომენს - არის თუ არა დრო სივრცის ფუნქცია, ან

სივრცე - დროის ფუნქცია? იარსებებდა თუ არა დრო, მოძრაობა რომ არ ყოფილიყო? ან - იარსებებდა მოძრაობა დროის გარეშე? ბოლოსდაბოლოს, სულაც იდენტური ხომ არ არის ეს ორი მოვლენა?³

ყოფიერებაში თუკი რამ არის მოუხელთებელი, ეს, უპირველეს ყოვლისა, დრო და სივრცეა, მეორე მხრივ, არ არსებობს უფრო კონკრეტული და განსაზღვრული რამ, ვიდრე დრო და სივრცე.

დრო. ამაზე უფრო ხელოვნური და ამაზე უფრო ბუნებრივი არაფერი შეუქმნია ადამიანის ცნობიერებას.

დრო არის სამ ნაწილად დაყოფილი მარადიულობა.

წარსულის, აწმყოსა და მომავლის ცნებები ადამიანის გონების ნაყოფია, რომელიც ჩნდება მას შემდეგ, რაც უფალი სამოთხიდან გამოაძევეს პირველცოდვით.

შეუძლებელია მარადიულობისა და უსასრულობის წარმოდგენა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ფაქტია: ბავშვობის ხანაში ადამიანი დარწმუნებულია, რომ მისი სიცოცხლე უსასრულოა, უცვლელია, მარადიულია.

ბავშვობა არის სამოთხე, ბიბლიური ედემის ეგზისტენციური ანალოგია. ამ სამოთხიდან გამოსვლას ადამიანი იწყებს მაშინ, როცა გონების თვალი აეხილება, ანუ, ხატოვნად რომ ვთქვათ, როცა გამოანათებს მზე-ცნობადისა.

დრო ცნობიერების შედეგია.

რატომ ხდება, რომ ბავშვები საათის ცნობას მისი დაშლით იწყებენ? რას ეძებენ დაშლილ ნაწილებში? მათ სურთ დაინახონ, რა არის დრო, მაგრამ დროის ნაცვლად ხელში რჩებათ სათამაშო მექანიზმები, დრო სადღაც უჩინარდება, უკვალოდ ქრება, თითქოს არც არსებულა. ვინ იცის, იქნებ ის არც მაშინ არსებობდა, როცა საათი წიკწიკებდა და ისრები მოძრაობდნენ?!

„გუშინ“, „დღეს“, „ხვალ“ ერთი და იმავე აზრის სხვადასხვა სახელწოდებებია.⁴ დრო არის გაქვავებული ტალღა, რომლის ამოძრავება მხოლოდ ადამიანის მეხსიერებას შეუძლია. მეხსიერების გარეშე დრო ფიქციაა. თუ წარმოვიდგენთ, რომ აი, ამ წამში, მომავალი ჯერ არ დამდგარა, წარსული უკვე აღარ არსებობს და აწმყოს ვერ მოვიხელთებთ, მაშინ უნდა ვადიაროთ, რომ დრო არ არსებობს.

დროის ფილოსოფიური განსაზღვრების ამოება კარგად არის ნაჩვენები ნეტარი ავგუსტინეს „აღსარებანის“ მეთერთმეტე თავში, სადაც შევითხვავზე „რა არის დრო?“ ასეთ პასუხია გაცემული: „თუ არავინ მეკითხება ამას, დიახაც ვიცი, რა არის დრო, მაგრამ თუ მოვინდომებ შემკითხველს ავუხსნა დროის რაობა, მაშინ კი არაფერიც არ მესმის“⁵ თუმცა ნეტარი ავგუსტინე იქვე განმარტავს დროის არსს, მისი აზრით, არაფერი რომ არ გადიოდეს, არ იქნებოდა წარსული დრო, არაფერი რომ არ მოდიოდეს, არ იქნებოდა მომავალი, არაფერი

რომ არ იყოს, არ იქნებოდა აწმყოც. მაგრამ რანაირად შეიძლება არსებობდეს წარსული და მომავალი, თუკი პირველი უკვე აღარ არის, ხოლო მეორე ჯერ კიდევ არ არის? ან როგორღა მოვიხელთოთ აწმყო,

#14

როცა იგი შეუჩერებლად გადაედინება წარსულში? ამიტომ, - წერს ნეტარი ავგუსტინე, — არც წარსული არსებობს, არც მომავალი და არც აწმყო, არსებობს - აწმყო წარსულისა, აწმყო აწმყოსი და აწმყო მომავალისა. თანაც ეს ყველაფერი არსებობს მხოლოდ ადამიანის სულში: აწმყო წარსულისა არის მეხსიერება, აწმყო აწმყოსი - უშუალო ჭკრეტა, აწმყო მომავალისა კი - მოლოდინი. დრო არის რაღაც განფენილობა, მიმდინარეობა, რომელიც ადამიანის სულში იზომება და რადგან ასეა, ვერავინ უარყოფს იმას, რომ არ არსებობს წარსული, აწმყო და მომავალი.⁶

არარსებობის პარადოქსი უპირისპირდება არსებობის პარადოქსს. თუ დროის არსებობას ვაღიარებთ, მაშინ ვაღიარებთ იმ ფაქტსაც, რომ დრო არსებობს ენაში („ამასწინათ“, „ცოტა ხნის წინათ“, „დიდი ხნის წინათ“), გამოცდილებასა და მოქმედებაში. დროის ძირითადი თვისებებია მოძრაობა, სვლა, ხანმოწინაობა. „დრო უნდა გაიზარდოს, როგორც წარმავლობა, თუ გინდა, რომ სრულად განიცადო იგი, როგორც გარდასვლა“⁷

დრო, როგორც მოძრაობა, უპირისპირდება მარადიულობას, როგორც უძრაობას, თუმცა მოძრაობა საბოლოო ჯამში უბრუნდება იმავე უძრაობას ანუ მარადიულობას.

პლატონის თეორიის მიხედვით, დრო სამყაროსთან ერთად დაიბადა, რათა ერთად დაზადებულნი ერთადვე დაშლილიყვნენ, თუკი ოდესმე მოუწევთ დაშლა. დროის პირველნიმუში არის მარადიული ბუნება, ანუ მარადისობა. დრო ემსგავსება მარადისობას.⁸

მართლაც, თუ წარმოვიდგენთ ჭეშმარიტების ისეთ მომენტს, სადაც შემთხვევით ან კანონზომიერების ძალით თავს იყრის ადამიანის განცდათა და მისწრაფებათა ყველა მნიშვნელოვანი წამი, მაშინ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გადაკვეთის ამ რეალობაში დრო არ არსებობს, ვინაიდან აქ ადამიანის სვლა, მოგზაურობა, მოძრაობა დასრულებულია, ხოლო სადაც არ არის მოძრაობა, იქ არ არის დრო, ანუ - არის მარადიულობა.

ჭეშმარიტების ეს მომენტი წარმოადგენს ნაწილავს იმ დროისა, რომელიც მარადიულობაშია დანთქმული. როგორც კი მივაღწევთ ჭეშმარიტების მომენტს, ჩვენში მაშინვე ინგრევა და ქრება დრო.

მსგავსი შეხედულებების გაზიარების შემდეგ ერთი ნაბიჯია იმ მოსაზრებამდე, რასაც ივ ბონფუა გვთავაზობს, კერძოდ, ის, რომ დრო საერთოდ არ არსებობს, რომ დრო მირაჟია და მეტი არაფერი.⁹

როგორც ვხედავთ, დროის არსებობის უარყოფა შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ ექსპერიმენტის დონეზე, ჩვეულებრივ პირობებში კი მისი უარყოფა შეუძლებელია.

„დროის უარყოფა ისევე ამაოა, როგორც თავად დრო“, - წერს მარგერიტ იურსენარი.¹⁰

ყოველგვარი გართულებების გარეშე რომ განვიხილო, დროის საკითხი საბოლოოდ მოვლენათა თანამიმდევრობამდე დადის. მართლაც, რა არის დრო (ჩვენი ცხოვრება), თუ არა მოვლენათა თანამიმდევრობა?

რატომ არის დრო თანამიმდევრული? ამის შესახებ პლატონის „ტიმეოსზე“ დაყრდნობით ბორხესი წერდა:

„დრო თანამიმდევრულია იმიტომ, რომ - მას შემდეგ, რაც გამოვიდა მარადისობის წიაღიდან, კვლავ მასში უკუმძივრებას ესწრაფვის. ამრიგად, მომავლის იდეა დაკავშირებულია ჩვენს სურვილთან, კვლავ დავუბრუნდეთ დასაბამს. ღმერთმა შექმნა ქვეყანა და მთელი ქვეყანა, მთელი ეს ქმნილი და ქმნადი სამყარო თავის მარადიულ, თავდაპირველ დასაბამში მიქცევას ლამობს, იმ დასაბამში, რომელიც არც დროის წინარე და არც დროის შემდეგ არ არსებობს, არამედ დროის საზღვრებს მიღმა ჰგეის. და ეს სასიცოცხლო სწრაფვაში ვლინდება. ამასთანავე იმასაც ვიგებთ, თუ გამუდმებით რატომ მოძრაობს დრო“¹¹

„პანტა რეი!“ - ყოველივე მიმდინარეობს. ჰერაკლიტეს ეს გამოთქმა არის უნივერსალური მოდუსი, რომელიც ერთნაირად ესადაგება როგორც დროის, ისე სივრცის გაგებას.

ფაქტიურად, დრო პირობითი ცნებაა, ის მაშინ არსებობს, როცა საგნები მოძრაობენ, ხოლო როცა საგნები ჩერდებიან, დრო ქრება.

დროის თვისება მოძრაობაა.

საგულისხმო თვალსაზრისს გამოთქვამს ავგუსტ სტრინდბერგის ერთ-ერთი პიესის პერსონაჟი: „დრო არის ის, რაც გარბის... მე გავიცევი და ვიქნები დროდ!“¹²

დროს ჩვენ წარმოვიდგენს ხაზის, გაბმული მდინარეების სახით, სადაც ყველაფერი ერთმანეთს მისდევს, ყველაფერი ერთმანეთის მიყოლებით ხდება, მაგრამ სწორედ ჩვენსავე წარმოდგენაში, ჩვენსავე ცნობიერებაში განიცდის ეს მთლიანობა მსხვრევას, დაშლას, დანაწევრებას, რის შედეგადაც მიიღება დროის სხვადასხვა სახეები, მაგალითად: პიროვნული დრო, ისტორიული დრო, მხატვრული დრო და ა.შ.

მხატვრული დრო არის სიტყვიერი შემოქმედების უმნიშვნელოვანესი ელემენტი, რომელიც აქტიურად მონაწილეობს როგორც ნაწარმოების კომპოზიციის ორგანიზებაში, ისე ამ ორგანიზაციული მთელის გააზრებაში.

მწერალს შეუძლია დროს შეუცვალოს თანმიმდევრობა, აწყო გადაიტანოს მომავალში, ან მომავალი გადმოიტანოს აწყოში, მაგრამ საბოლოოდ, ეს არეული თანმიმდევრობაც თავს მოიყრის ერთი ფოკუსში, რომელსაც თხრობის დრო ეწოდება. თხრობის დროს აქვს გამოკვეთილი სპეციფიკა. მხატვრულ ნაწარმოებში დრო მაშინ გადის, როცა პერსონაჟის ცხოვრებაში ან ცნობიერებაში რაღაც მოვლენა იჩენს თავს, როცა რაღაც ხდება.

მოვლენა არის იქ, სადაც არის ერგატიული ყოფიერება, სადაც არის საქციელი, სადაც არის საქმე. როცა არაფერს ვაკეთებთ, მაშინ „დროს ვკლავთ“, დროს ვაუქმებთ; როცა რამეს ვაკეთებთ, მაშინ დროს ვაღიარებთ, დროში ვართ, დროში ყოფნა კი ნიშნავს, რომ ვიმყოფებით სივრცეში - თანაარსებობის წესრიგში.

ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, სივრცე არის შეკუმშული, კონდენსირებული დრო. მხოლოდ სივრცეში შეიძლება გაქცავებული წარსულის ხილვა და გაცოცხლება. სივრცეში განფენილი საგნების მიხედვით მეხსიერება აცოცხლებს დროს.

მართებულია მოსაზრება, რომ დროის შინაარსზე დამოკიდებული სივრცული მოდელის აგებულება.¹³

სივრცის ფენომენოლოგიური არსისა და ფსიქოლოგიური აღქმის ინტერპრეტაცია, რომელსაც გასტონ ბაშლიარი ტოპოანალიზს უწოდებს,¹⁴ იძლევა საშუალებას სივრცის პოეტიკის გასააზრებლად. ბაშლიარის აზრით, სივრცის (საგნის) ფსიქიკური მნიშვნელობა შეესაბამება ადამიანის შინაგან სივრცეს, ადამიანი თავის თავში ატარებს გარესამყაროს პროექტს, რომელიც განაპირობებს წარმოსახვის აქტივობას და, ამგვარად, ფასეულობათა შექმნას. მაგალითად, სიტყვა „სახლი“, ტოპოანალიზის მიხედვით, არის სამყაროსა და მდგრადობის განსახიერება. ცნობიერებაში სახლი წარმოსდგება როგორც ვერტიკალური არსი, რომელიც აღვივებს კონცენტრულობის, არსებითობის განცდას და აყალიბებს ფენომენოლოგიურ ფასეულობას, დაკავშირებულს ერთ განსაზღვრულ სიტყვასთან - „სახლი“ ავიღოთ იაკობ ხუცესის თხზულების ცნობილი პააჟი, სადაც შუშანიკი ბრალდებებს უყენებს ვარსკენს: „მამამან შენმან წმიდანი შემოიხუნა სახიდ თვისა, ხოლო შენ დევნი შემოიხუნ... „აქ ჩვენს ყურადღებას იპყრობს „სახლის“ („სახიდ თვისა“), როგორც ფენომენოლოგიური არსის, ფსიქოლოგიური მნიშვნელობა. წარმოდგენილ ანტიომიაში ვარსკენის დესტრუქციული ქმედება შეპირისპირებულია მამის კონსტრუქციულ საქმესთან, რომლის ფსიქოლოგიურ ცენტრს წარმოადგენს სახლი - სიწმინდის, სამყაროსა და მდგრადობის განსახიერება. ვარსკენი არღვევს მემკვიდრეობით მიღებულ ჰარმონიას, აუქმებს სუიერების საყრდენს, არსებითობას, ამაღლებულ არსს, ანუ ყოველივე იმას, რაც სახლის ფენომეოლოგიურ სივრცეს უკავშირდება.

ლიტერატურისმცოდნეობაში არსებობს ასეთი ცნება - „ქრონოტოპი“, რომელიც მიხაილ ბახტინმა დაამკვიდრა და აღნიშნავს დრო-სივრცის ერთიანობას გარკვეულ თვალსაზრისში

ან მოვლენაში¹⁵ ბახტინის აზრით, ნებისმიერი ისტორიული ფაქტი შეიცავს როგორც დროით, ისე სივრცულ მომენტებს; დრო-სივრცის გამაერთიანებლად გვევლინება აგრეთვე ავტორი, მთხრობელი, საგანი და ა.შ. ტერმინ „ქრონოტოპის“ შემოღება, ერთი მხრივ, ნიშნავს კაპიტულაციას იმ თვალსაზრისის წინაშე, რომ შეუძლებელია დროისა და სივრცის ცალ-ცალკე წარმოდგენა; მეორე მხრივ, ეს არის საუკეთესო საშუალება იმისათვის, რათა მაქსიმალურად დავიზღვიოთ თავი მოსალოდნელი უზუსტობებისგან.

აგიოგრაფიული ქრონოტოპი ტიპოლოგიურად საკმაოდ ახლოს დგას ბიბლიურ ქრონოტოპთან, თუმცა, რასაკვირველია, აქვს თავისებურებები, რომელთა შესახებ ქვემოთ იქნება საუბარი.

ბიბლიაში დრო იზომება წელიწადებით, წელიწადის დროებით, მოვლენებით, თაობებით, მეფეთა ხელმწიფობის პერიოდებით. ეს არის ობიექტივირებული, ისტორიზებული, „გაადამიანურებული“ და არა კალენდარული დრო. კალენდარი ნაკლებად ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ ისრაელს და იუდეას თავიანთი კალენდარი ჰქონდათ.

წმიდა წერილში აწმყო ნაკლებად ჩანს, აქ დომინირებს წარსული, რომელიც პირდაპირ გადადის მომავალში. წარსულში აირეკლება მომავალი. წინასწარმეტყველთა კონცეფციის საფუძველია წარსული - მომავლის ხატი.

ბიბლიური დრო დასაზღვრულია. იგი დასაბამს იღებს შესაქმიდან, სამყაროს ისტორიის დასაწყისიდან და მთავრდება მეორედ მოსვლის ჟამს. ყველაფერს აქვს დასასრული, და დასასრული გამოცხადებულია (3, ეზრა, 9,5-6). ძველი აღთქმის მიხედვით, უფალი ცვლის დრო-ჟამს და წელიწადებს (დანიელი 2,21). უფალი მართავს დრო-ჟამს და იმასაც, რაც დრო-ჟამში შემოდის (3, ეზრა, 13,58).

ბიბლიურ თხრობაში მოქმედება ვითარდება პირველ პლანზე და ეს მოქმედება არის აქ, ამ დროსა და ამ სივრცეში. ბიბლია არ იცნობს დრო-სივრცით პერსპექტივას; თუ თხრობაში ადგილი აქვს სივრცით ან დროის გადაადგილებას, ის მთელი პლანით, მთელი შინაარსობრივი კონსტრუქციით გადაადგილდება დროსა (წარსულში, მომავალში) და სივრცეში.

#16

მეხსიერება აფიქსირებს მოვლენის, ადგილისა და დროის ერთიანობას. გეოგრაფიული ადგილი თავის თავში ინახავს ამბავს, ისტორიას, დროს. ტოპონიმში მთლიანდება დრო და სივრცე. ბიბლიის მოქმედების არე არის უდაბნო - როგორც გზა, მდინარე - როგორც საზღვარი, ქალაქი - როგორც ცხოვრება, მხარე - როგორც ქვეყანა.

ძველ აღთქმაში უდაბნო არის სივრცე და არის აგრეთვე დრო, ეპოქა (ორმოცი წელიწადი), რომლის განმავლობაში უფალი ღმერთი გამოსცდიდა თავის ხალხს აღთქმულ ქვეყანაში შესვლამდე.

რაც შეეხება სიმბოლურ სივრცეებს, აქ დომინირებს ზესკნელისა და ქვესკნელის ანტინომია და ზეციური და მიწიერი იერუსალიმის სახისმეტყველება. მიწიერი იერუსალიმი არის სახე პირველხატისა - ზეციური კარვისა ანუ ზეციური იერუსალიმისა.

როგორც ზურაბ კიკნაძე წერს, ბიბლია აღწერს ადამიანს მოძრაობაში, მოქმედებაში, მიმოსვლაში; მას არ იხიდავს ბუნება, სივრცეში განფენილი რეალობა... ამიტომ ბიბლიური სამყარო უფრო დროში არსებობს, ვიდრე სივრცეში.¹⁶

ბიბლიური ავტორების წაბადვით აგიოგრაფოსიც ცდილობს მოქმედება უფრო დროში გაშალოს, ვიდრე სივრცეში, მაგრამ აგიოგრაფიული თხზულების სპეციფიკა მოითხოვს ანგარიში გაეწიოს სივრცით რეალიებს, გამოიკვეთოს ის ბუნებრივი, გეოგრაფიული, პოლიტიკური, ისტორიული, ეთნიკური და სხვა სივრცეები, რომლებიც მონაწილეობენ ნაწარმოების იდეის ლოგიკურ დასაბუთებაში.

აგიოგრაფიას, ერთი შეხედვით, ნარატიული სტატუსი აქვს, მაგრამ სინამდვილეში ეს არის ლოგიკური დასაბუთების ფორმულა, სადაც დროითი პარამეტრების კონსტრუირება დამოკიდებულია ავტორზე, რომელიც წარმართავს მტკიცების ოპერაციას, ანუ პოლრიკიორისა და ჰაიდენ უაიტის ტერმინი რომ მოვიშველიოთ, იდეოლოგიურ იმპლიკაციას.¹⁷

აგიოგრაფიულ ტექსტში არსებობს ორი დრო: „მოვლენის დრო“, რომელიც ასახავს ამბავს, მოვლენას, როგორც ორიენტირს და „სიუჟეტური დრო“, რომელიც წარმოადგენს მოვლენის, ნაწარმოების ძირითადი ამბის კონსტრუირებას. ფაქტიურად, მოვლენის დრო „კონვერტირებულია“ სიუჟეტურ დროში. მაგალითად, როცა პერსონაჟის ცხოვრების ათეული წელიწადები ერთი ფრაზით არის გადმოცემული, ეს იმას ნიშნავს, რომ მოვლენა, როგორც თხრობის ორიენტირი, ფიქსირდება თავისი დროით, ოღონდ გადაყვანილია სხვა ფორმაში — სიუჟეტურ დროში.

ავტორი ამბავს იწყებს თავიდან და გადის ბოლოში. ეს იმას ნიშნავს, რომ აგიოგრაფიული თხრობა თავისი არსით არის თანამიმდევრული, დისკურსიული, სწორხაზოვანი.

არსებობს გამონაკლისებიც. მაგალითად, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების „ თხრობა, დროის მიხედვით, არ არის სწორხაზოვანი, სიუჟეტი დატეხილია ანაქრონიზებად, ჩართულ ეპიზოდებად, შტრიხებად, პარალელებად.

ჩემი აზრით, აგიოგრაფიული დროის კომპოზიციური ფორმულა ორ მოდულსამდე დაიყვანება: „სწორხაზოვანი“ და „არასწორხაზოვანი“ თხრობა.

განსხვავებულ ფორმულირებას გვთავაზობს რევაზ სირაძე: 1. მოქმედებათა უწყვეტი დროული თანამიმდევრობით გადმომცემი კომპოზიციური სტრუქტურა („შუმანიკის წამება“); 2. ტრიპტიქული (სამკარედული) კომპოზიცია („წმ. აბოს წამება“); 3. ცენტრალურ-ციკლური კომპოზიცია („წმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“)¹⁸ თუ დავაკვირდებით, ეს განსაზღვრებაც თანამიმდევრობისა და არათანამიმდევრობის პრინციპზეა ჩამოყალიბებული.

სავსებით ნათელია, რომ აგიოგრაფიული დრო თითქმის არაფერს ცვლის მოვლენათა იმ ორგანიზაციაში, რაც წინასწარ არის ცნობილი. ტელეოლოგიური თვალსაზრისით, დრო შეუფერხებლად მიედინება სიუჟეტურ ფინალამდე. ეს არის სწორხაზოვანი დრო; ხოლო თუ სწორხაზოვანი თანმიმდევრობა დარღვეულია, მაშინ ეს არის არასწორხაზოვანი დრო.

საერთოდ, აგიოგრაფიული დრო და სივრცე მკაცრად ისტორიზებული და მატერიალიზებულია, მაგრამ არსებობს ისეთი ნაწარმოებებიც, სადაც მოქმედება მიმდინარეობს ისტორიული დრო-სივრცისაგან მოწყვეტილ, სრულიად ჩაკეტილ, პირობით გარემოში, რომელსაც ფილოსოფიის ენაზე აპერცეფციული ანუ რეფლექსიური სივრცე ეწოდება.¹⁹ ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე „ბალავარიანში“ აქ არის პირობითი ქრონოტოპი, რომელიც ასევე პირობითად, რეფლექსიურად აღიქმება.

რას ნიშნავს აპერცეფციული სივრცე? როგორც ცნობილია, სივრცობრიობის განცდა უშუალოდ უკავშირდება სამყაროს ცნობას. ამ ცნობის ყოველი მოდალობისთვის არსებობს თავდაპირველი სივრცობრიობა. მაგალითად, როცა საგნები მხედველობიდან ქრებიან, ამ დროს ჩვენი პერცეპტუალური (აღქმითი) ყოფიერება წყვეტს კავშირს თავის სამყაროსთან და ავითარებს სივრცეს საგნების გარეშე. სწორედ ეს ხდება ღამით, სიბნელეში, როცა შეუძლებელია პერცეფციული (აღქმითი) ხედვა და მოვუხმობთ აპერცეფციულ (არააღქმით, ინტუიციურ), რეფლექსიურ ხედვას და ამგვარად წარმოვიდგენთ სივრცეს და საგნებს.

#17

გასათვალისწინებელია მ. ბახტინის მოსაზრება, რომ სივრცით და დროით ფასეულობებს ესთეტიკური მნიშვნელობა არ გააჩნიათ: ისინი კონსტრუქციაში კი არ ჩნდებიან, არამედ მასალას მოჰყვებიან.²⁰

მაგალითად, ქრონოტოპი ვერ აღწევს გმირის შინაგან სამყაროში, არ მონაწილეობს პერსონაჟის დახასიათების პროცესში. გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს „შუმანიკის წამების“ ცნობილი პასაჟი - „ჟამსა ზაფხულისასა...“, - რომელსაც ავტორი იმისათვის იყენებს, რომ კიდევ უფრო გამოიკვეთოს მოწამის ღვაწლის სიდიადე, დაგვანახოს, თუ რა მძიმე პირობებში უხდებოდა მას ტანჯვა-წამების ატანა. თუმცა, პრინციპულად თუ შევხედავთ, ეს ეპიზოდი იმდენად სახასიათო დეტალი არ არის, რამდენადაც რიტორიკული ფიგურა, უფრო ზუსტად, ფსიქოლოგიური კოორდინატი, რომელიც მკითხველმა უნდა შეიტანოს გმირის სახასიათო სტრუქტურაში.

მკითხველს ევალება, შევიდეს თხზულების ქრონოტოპში თავისი აზროვნებით, ანალიზით, შემეცნებით; შეცნობა არის საშუალება იმისათვის, რომ დავდგეთ დროის გარეთ, მივუახლოვდეთ ზედროულს. აგიოგრაფია, როგორც წმინდანის ღვაწლის აღწერა და შეცნობა, ზედროული მოვლენაა, დროის გარეთ დგას და ყველა დროს მოიცავს.

აგიოგრაფიაში, ისევე, როგორც ჰიმნოგრაფიაში, ავტორის წინაშე დგას ერთი ამოცანა: „გამოთიშოს მსმენელი დროისა და სივრცის გარემოს და აზიაროს იგი ზედროულსა და ზესივრცულს“.²¹

აგიოგრაფიაში არსებობს მიწიერი სივრცე და მეტაფიზიკური სივრცე; მიწიერი სივრცის დროითი განზომილება არის წამი, ანუ ამსოფლიური დრო, ამსოფლიური ჟამი (შემთხვევითი არ არის, რომ ძველ ქართულში „დრო“ აღნიშნავდა „სოფლის“, „ამქვეყნის“ ცნებას²²); მეტაფიზიკური სივრცის განზომილება კი მარადიულობაა, იმქვეყნიური ჟამია.

„დრო, სივრცე, მიზეზობრიობა, ისტორია - ემპირიული სამყაროს კუთვნილებაა; ტრანსცენდენტურ სამყაროს კი უდროობა, უსივრცობა, უმიზეზობა და თავისუფლება ახასიათებს“²³

აგიოგრაფიის მიწიერი ამბავი უერთდება ზეციურ ისტორიას, იშლება ზღვარი სააქაო და საიქიო სივრცეებს შორის.

აგიოგრაფიული დრო აუცილებლად გულისხმობს სივრცეს, და, პირიქით, სივრცე - დროს. თარიღი, როგორც დრო და როგორც სივრცე წარმოადგენს ისტორიული სივრცის ნაწილს, რომელიც თავისთავად არის დრო. ამიტომაც, რომ დათარიღებისას უპირატესობა ეძლევა სივრცეს და არა კალენდარულ დროს. თუმცა აგიოგრაფიაში გვხვდება წელთაღრიცხვის სამივე სისტემა, რაც საქართველოში გამოიყენებოდა: „დასაბამითგან“, „ქრისტესით“ და „ქორონიკონით“

„იყო მერვესა წელსა სპარსთა მეფისასა...“ - ეს არის თარიღი და სივრცეც, ეს არის „გაპიროვნებული“ დრო, სადაც „მეფე“ არის ისტორიული სივრცის კოდი.

ილარიონ ქართველის გარდაცვალების თარიღი ასეა აღნიშნული: „აღესრულა... თვესა ნოემბერსა ით-სა, დღესა შაბათსა, ჟამსა მეხუთესა დღისასა, მეფობასა ბასილი მაკედონელისასა, რომელმან-იგი შემდგომად მიქაელისსა მიიღო მეფობა...“ როგორც ვხედავთ, ავტორი წელთაღრიცხვას არ უყურებს, მისთვის თარიღის მნიშვნელობა აქვს იმ სივრცეს, სადაც მიქაელის შემდგომ აღზევებული ბასილი მეფობს. ისტორიული ქრონოტოპი ყველაფერია, რადგან იგი წარმოადგენს მთლიანი დრო-ჟამის სრულუფლებიან ნაწილს.

აგიოგრაფიული ტოპოლოგია, საკრალურ-ალეგორიული თვალსაზრისით, ახლოს დგას ბიბლიურ ტრადიციასთან, თუმცა ისტორიულ-გეოგრაფიული თვალსაზრისით, გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება, რასაც უთუოდ ჟანრობრივი სპეციფიკა განაპირობებს, ვინაიდან აგიოგრაფია, სარწმუნოებრივი იდეალიზმის გარდა, ისტორიული დოკუმენტალიზმის ფუნქციითაც არის აღჭურვილი, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მისთვის კონკრეტული ფაქტი ჯერ არის ფაქტი და შემდგომ სხვა დანარჩენი.

გამონაკლისია „მოქცევაი ქართლისაი“, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დროისა და სივრცის შეთანხმებას. მოვლენათა ქრონოლოგიურ აღწერას, როგორც წესი,

პარალელურად მისდევს გეოგრაფიულ ადგილთა სახელდება, და პირიქით, ადგილის ხსენებას კალენდარული თარიღი მოჰყვება.

აღსანიშნავია „მოქცევის“ კიდევ ერთი თავისებურება, რომელიც გეოგრაფიულ მხარეთა სიმბოლიკას უკავშირდება. ტექსტში მრავალგზის არის დადასტურებული, რომ საქართველო არის ჩრდილოეთის ქვეყანა, ქართველები კი - „ნათესავი ჩრდილოდსა“ ჩრდილოეთი გააზრებულია წარმართობისა და ცოდვის მხარედ. ეს არის ქვეყანა, რომელსაც არ ანათებს „მზე სიმართლისა“ - იესო ქრისტე. ამავე ტრადიციას იცავს არსენ ბერიც („წმ. ნინოს ცხოვრება“), თუმცა შემდგომ პერიოდში საქართველო უკვე აღმოსავლეთის ქვეყნად იხსენიება (გიორგი მცირე). საერთოდ, აღმოსავლეთი როგორც განთიადის, მაცხოვრის მხარე, აღიარებულია სიმბოლური სივრცის მთავარ ორიენტირად, ისე, როგორც ეს ბიბლიურ ტრადიციაშია.²⁴

აგიოგრაფიაში დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ჯერ კიდევ თხზულების დაწერამდე. ავტორი წინასწარ განსაზღვრავს კალენდარულ დროს, თუ წელიწადის რომელ დღეს

#18

უნდა იკითხებოდეს მისი თხზულება ეკლესიაში; მეორეც, ავტორი წერის დაწყებამდე არკვევს იმ დროის ხანგრძლივობასაც, რომელშიც უნდა იქნას წაკითხული თხზულება, ესე იგი, იმის მიხედვით, თუ რას წერს, მოკლე საკითხავს - კიმენს, თუ ვრცელს - მეტაფრასს, მან იცის, რამდენ დროს ართმევს მკითხველსა და მსმენელს.

აგიოგრაფიაშიც არსებობს ეგრეთ წოდებული ავტორის დრო და პერსონაჟის დრო.²⁵

ავტორის დრო და სივრცე ცვალებადია. ავტორი შეიძლება პერსონაჟთან ერთად გადაადგილდებოდეს სივრცეში, შეიძლება მისი დრო უსწრებდეს ან ჩამორჩებოდეს პერსონაჟის დროს. მაგალითად, გიორგი მცირე თავის თხზულებაში პერსონაჟის გამოჩენამდეც ჩანს, პერსონაჟთანაც და პერსონაჟის შემდგომ დროშიც, თუმცა მხატვრული დროის ზოგადი პრინციპების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა არ ენიჭება, ვინაიდან მთავარი დრო-სივრცითი ორიენტირი თხზულების გმირია, რომელიც, უხეშად რომ ვთქვათ, მონოპოლიას ფლობს დროსა და სივრცეზე, ყველა ძირითადი მოვლენა, რაც ხდება, მას უკავშირდება, მისთვის ან მის გამო ხდება. მაგრამ ეს ხელს არ უშლის ზოგიერთ ავტორს, მოვლენები სასურველი ქრონოლოგიური რიგით დაალაგოს, ვთქვათ, დრო აურიოს ან სულაც შეაჩეროს. გიორგი მერჩულე თავიდან ბოლომდე მოგვითხრობს გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას, მაგრამ გარკვეულ ეპიზოდებში არღვევს სიუჟეტურ დროს, უკან ბრუნდება ან წინ უსწრებს მთავარ, მაგისტრალურ ხაზს, იოანე საბანისძე კი სულაც აჩერებს დროს, როცა აბოს ხოტბას იწყებს.

აგიოგრაფიული თხზულების დრო და სივრცე არის ხატი და განმეორება დრო-სივრცის ბიბლიური პირველსახისა, რომელიც წარმოადგენს მარადიულ სუბსტანციას, საიდანაც განუწყვეტლივ გამოედინება და მეორდება ახალ-ახალი დროები და სივრცეები. გრიგოლ ხანძთელის საქმე არის ემანაცია იმ მარადიული ღვაწლისა, რაც ბიბლიურ აბრაამს მიუძღვის; აბრაამის სიმბოლურ გზას ადგას იოანე მთაწმიდელიც; გიორგი მთაწმიდლის მოღვაწეობის პირველხატი არის მოსეს და აარონის საქმე, გიორგი სულაც მეორე ელისედაა აღქმული ავტორის მიერ, რომელსაც არ უჭირს თავისი გმირის ათონიდან ბიბლიური იორდანეს ნაპირებზე გადაყვანა. გმირის ცხოვრება-მოღვაწეობა პირდაპირ თუ არაპირდაპირ ბიბლიურ კონტექსტშია წარმოდგენილი და ამიტომაც კონკრეტული ადგილი, დასახლებული პუნქტი თუ ქვეყანა გაიაზრება არა გეოგრაფიულ ორიენტირად, არამედ გმირის სამოღვაწეო სივრცის ნაწილად.

გარემო ლოკალიზებულია როგორც გმირის მოღვაწეობის არეალი, რომლის საზღვრები დადგენილია ღვთიური განგებულებით.

„ცხოვრებათა“ მთავარ პერსონაჟებს ლოცვის ან ტრანსის დროს ეუწყებათ ის ადგილები, სადაც უნდა ააშენონ ეკლესია-მონასტრები. მიქელ პარეხელის ჩვენება იმდენად რეალურია, რომ მისმიერ მითითებულ ადგილს სერაპიონ ზარზმელი უეჭველად აგნებს.

დრო არის არა ხანი, ხანგრძლივობა, ერთი მოვლენიდან მეორემდე არსებული ჟამითი დისტანცია, არამედ — თავად მოვლენა, ღვთიური დიდების გამოვლენის ფაქტი, სასწაული, რომელიც თავისთავში მარადიულობას იტევს. მიქელ პარეხელი სერაპიონ ზარზმელს ბაიის გამხმარ რტოს გაუწოდებს და ეტყვის, დარგე ეკლესიის მახლობლად და თუ განედლდეს, ის ადგილი წმინდააო. რტო განედლდა, მაგრამ არ ვიცით, რამდენ ხანში მოხდა სასწაული. წამიერად, მოწმეთა თვალწინ, თუ დღეების შემდეგ? პასუხი არ იკითხება და ამის ცოდნა არც არის საჭირო, ვინაიდან ავტორის, ბასილი ზარზმელის ცნობაც საკმარისია - „ეს მოხდა „შემდგომად მცირედისა“.. მოვლენა მეტ დაკონკრეტებას აღარ ითხოვს, რადგან სასწაულმა, როგორც მარადიულობამ შთანთქა დრო, რომელშიც თვითვე განხორციელდა.

ზარზმა არის მარადიულობა, იქამდე მისასვლელი გზა კი მოვლენებზე, ფაქტებზე, გეოგრაფიულ პუნქტებზე გადის. მამა მიქელმა თითქმის სახელდებით ამცნო სერაპიონს წმინდად ნიშნული ადგილი, სადაც მონასტერი უნდა აშენებულიყო, მაგრამ სანამ არ გაივლიან ბერას ჯვარს, უტყვისას, ცხროჭას, ძინძეს, სამძოს, გოდერძის, ბაკთას, შეშის თავს, ბოზხასა და უმწას; სანამ არ შეხვდებიან გიორგი ჩორჩანელსა და თანამოგზაურ იას, უკეთურ მონადირეებსა და კეთილ გარბანელს; სანამ არ განირღვევა სათახვე ტბის კალაპოტი და სანამ დიდი და პატარა ზარდაცემული არ შეიქნება, მანამ არ გამოუჩნდებათ სერაპიონსა და ძმათა მისთა აღთქმული მიწა — ზარზმა.

დროის რეალურ მიმდევრობასთან შედარებით სრულიად განსხვავებული ცნებაა ეგრეთ წოდებული „ჟამი წინასწარმეტყველებისა“ ეს არის საკრალური, წმინდა დრო, ღვთის განგებულებით განსაზღვრული მოვლენის აღსრულება, ესქატოლოგიური რწმენის სიმბოლო

ამქვეყნიური დრო მხოლოდ და მხოლოდ ხრწნადი „მატერიაა“, რომელიც განუწყვეტლივ იცვლება, დნება, კრება: „ვყავ სოფელი ესე და ყოველი ხატი მისი წარმავალ“ ადამიანის ვალია, ამსოფლიური დრო შეიმეცნოს იმ განცდით, რომ ჟამთა ქცევაში „ყოველნი წარვალთ და განვიბნევით“ წარმავლობის უარყოფის გარეშე მარადიულს ვერ მიეახლები.

ცნობილი ფორმულა რომ გამოვიყენოთ, დრო სატანის პირშობა, მარადიულობა —უფლისა.

#19

„გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებაში „მიწიერი სამყარო, როგორც მეორეული მოვლენა, ზეცის ანარეკლს წარმოადგენს. გიორგი მცირე ადამიანის ამქვეყნიურ არსებობას სამ განზომილებაში გაიაზრებს: „მამული, ქალაქი, ნათესაობა“ ანუ სამშობლო, დაბადების ადგილი, წარმომავლობა. ამ იერარქიის ზეციური პირველსახეებია: სამოთხე (სამშობლო), ზეციური იერუსალიმი (დაბადების ადგილი) და თვისება ღმრთისა (წარმომავლობა).

ქრისტიანისთვის ჭეშმარიტი სამშობლო არის პირველი მამის, ადამის თავდაპირველი სამყოფელი - სამოთხე; სადაც უნდა დაიბადოს, ქრისტიანისთვის დაბადების ადგილად მიჩნეულია ზეციური იერუსალიმი, რომელიც უფალმა აღაშენა ცოცხალი („ცხოველი“) ქვებით;

დაბოლოს, მნიშვნელობა არ აქვს, რა ერის წარმომადგენელია, რადგან ქრისტიანის წარმომავლობას ზეცა განსაზღვრავს, ზეცა ანიჭებს „თვისებას ღმრთისას“. გიორგი მცირის აზრით, გიორგი მთაწმიდელის სამშობლო (საქართველო) სამოთხეა, დაბადების ადგილი (თრიალეთი) - ზეციური იერუსალიმი, ქართველობა - „თვისება ღმრთისა“.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. ნიკოლოზ ბარათაშვილი, თხზულებები, პოემა, თბ., 1972, გვ. 34.
2. Гастон Башляр, Избранное. Поэтика пространства, РОССПЭН, М., 2004, с. 125.
3. თომას მანი, „ჯადოსნური მთა“, გერმანულიდან თარგმნა დალი ფანჯიკიძემ, ტ. 2, 1984, გვ. 5-6.
4. Жозе Сарамаго, „Евангелие от Иисуса“, ж. „ИЛ“, 1998, N 5, с. 156.
5. ნეტარი ავგუსტინე, აღსარებანი, ლათინურიდან თარგმნა და შენიშვნები დაურთო ბაჩანა ბრეგვაძემ, „ნეკერი“, თბ., 1995, გვ. 232.
6. იქვე.
7. Поль Рикёр, Время и рассказ, т. 1, Москва-Санкт-Петербург, „Университетская книга“, 2003, с. 36.
8. პლატონი, „ტიმოოსი“, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო ბაჩანა ბრეგვაძემ, „ირმისა“, თბ., 1994, გვ. 296.
9. Ив Бонфуа, Невероятное. Избранные эссе, „Carte Blanche“, М., 1998, с. 111.
10. მარგერიტ იურსენარი, სიქსტე. გერარდო პერინი, „ლს“, 1999, № 29.
11. ხორხე ლუის ბორხესი, დრო, თარგმნა თამაზ ჩხენკელმა, „ლიტერატურული საქართველო“, 6-13. XII, 1996, გვ. 15-16.
12. ავგუსტ

სტრინდბერგი, „ზმანება“, შვედურიდან თარგმნა ბაკურ სულაკაურმა, თბ., 1995, გვ. 5-6. 13. ინგა მილორავა, ნიკო ლორთქიფანიძის მხატვრული დრო და სივრცე, „ლომისი“, თბ., 1995, გვ. 14. 14. **Гастон Башляр**, დასახ. ნაშრ., გვ. 23. 15. **М.М. Бахтин**, Собрание сочинений, т. 6, „Русские словари“, М., 2002, с. 393. 16. **ზურაბ კიკნაძე**, ბიბლიური დრო, ჟ. „ომეგა“, 2001, № 12. 17. **Поль Рикёр**, დასახ. ნაშრ., გვ. 194. 18. **რევაზ სირაძე**, დრო და ჟამი, ლიტერატურული ძიებანი, XXII, „მერანი“, თბ., 2001, გვ. 33. 19. **Морис Мерло-Понти**, Пространство, сн. Интенциональность и текстуальность, „Водолей“, Томск, 1998, с. 72. 20. **М. М. Бахтин**, დასახ. ნაშრ., გვ. 369-370. 21. **ლაურა გრიგოლაშვილი**, დროისა და სივრცის პოეტიკისათვის ქართულ ჰიმნოგრაფიაში, „ივირონი - 1000“, თსუ, თბ., 1983, გვ. 108. 22. **დამანა მელიქიშვილი**, დროის ცნება, „ლს“, 1987, 4.IX, გვ. 13. 23. **მერაბ ლაღანიძე**, სინამდვილე და წარმოსახვა დავით გურამიშვილის „მხიარულ ზაფხულში“, „ლომისი“, თბ., 2002, გვ. 48. 24. **გიორგი ალიბეგაშვილი**, გეოგრაფიული მხარეები ბიბლიაში, ჟ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, № 3, 1993, გვ. 11. 25. **Д. С. Лихачев**, Поэтика художественного времени, Избранные работы, т. 1, с. 490.

Ivane Amirkhanashvili

Time and Space of the Hagiographical Work

The chronotope of the Georgian hagiographical work typologically repeats the Biblical chronotope, however there are differences too. Hagiography more specifically distinguishes natural, geographical, political, historical, ethnic and other spaces. There are two times in the hagiographical texts; „time of a phenomenon“ and „plot time“. Chronotope cannot reach a hero's inner world, does not participate in the process of a hero's characterization.